

# მართლიანობის ეკიულისტიკური გამარჯვები

ბერძნობა  
ნოემბრის 30  
1919 წ.

ფასი 6 მარტი.

№ 1

F&E  
1919

შინაგანი: აქტა „ეშმ. მათრ.“ დამოუკიდებლობისა.—მოწინავე.—რეკვიზიტია.—„პოეტები“.—დეპე-  
შები.—რაღიო დეპეშები.—ქრონიკა.—როგორ გავხდი (სპეციალისტით).—სალამი (ლექსი)—  
პატარა ფელეტონი.—რესკრიპტით. ი. შმერლინგს.—ნოტი.

საერთაშორისო ბილიარდი



ინგლისი. (უმიზნებს დედამიწის ბურთს) ვნახოთ, ვინ ჩაგდებს... ვთამაშობ... მარჯვენა კუთხეში!  
იაკონია. ყველა კი ვცდილობთ, მაგრამ, ვაი რომ, მეონი, არც ერთში არ ჩატევა!

# პ ტ ი

„ეშმაკის მათრახის“ დამოუკიდებლობისა

მრავალ დუხშირ წელთა გენძვლობაში „ეშმაკის მათრახი“ არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ორგანო.

ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს რუსეთში იმდა უდიდესი რევოლუცია, რომელმაც აჭეარა ბორკილები გველა ერს და დასთესა იმედები ცხოვრის ის იქთი გარდაქმნისა, რომ ჩვენი ჟურნალის არსებობა ზედმეტად მ. ვიჩნიეთ.

განვლეს წელთა. რევოლუციისაგან აღთქმული სამეფო სათნოებისა არ დამკვიდრდა და კვლავ საჭირო შექმნა განახლება ჩვენი მოქმედებისა.

დღევანდელი ცხოვრება აუცილებლად მოითხოვს, რომ „ეშმაკის მათრახმა“ აღადგინოს დამოუკიდებელი არსებობა და შექმნას საკუთარი მკვიდრი ორგანიზაცია.

ამისდა თანახმად „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია, არჩეული ეშმაკისა და თაგუნასაგან პირდაპირ, თანასწორი, საუკეთეთო, ფრონტი და პროპრეციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე ამა ათას ცხრას ცხრას მეტი წლის ნოემბრის 30-ს, აცხადებს:

1) ამიერიდან „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია უკერძნულ უფლებათა მატარებელია \*) და „ეშმაკის მათრახი“ რელუფლებოგანი დამოუკიდებელი ორგანოა.

2) დამოუკიდებელ „ეშმაკის მათრახის“ ლიტერატურული ფორმა იუმორისტულია.

3) „ეშმაკის მათრახი“ მუდმივი ნეიტრალური ორგანოა და ამიტომ დაუხოვავად ებრძვის ეველის, განურჩევლად ეროვნებისა, რემენისა, სოციალური მდგომარეობისა, წლოვანობისა, მსოლოდ სქესისა კი არა.

4) როგორც ნეიტრალურ ორგანოს, „ეშმაკის მათრახს“ სურს პრესის ეველა წევრთან კეთილმეზობლური განწეობილება დაამეაროს, რაოდენათაც კეთილი მეზობლები ამის საშუალებას მისცემენ.

ეშმაკი

თაგუნა.

\*) ამ სიტყვაში საშიში არაფერია, ვინაიდან „მატარებელი“ ამ შემთხვევაში „პოეზია“ არ ნიშნავს.

## თბილისი, ნოემბრის 30.

თითქმის საიუბილეო ნორმა გვისრულდება, რაც ჩვენი ქვეყნის საეშმაკო საქმეებს ვემსახურებით და ამის გამო, ცოტად თუ ბევრად, აღლოც ავართვით ქართველი კაცის ხასიათს.

ჩვენი დაკვირვებით ქართველი კაცი საზოგადოთ ეშმაკია: თავის საუკეთესო მოღვაწეს დილით რომ ერთ ბატს მიაბარებს, საღამოს უკეთ ცხრას მოსთხოვს და, თუ მან რვა მიუთვალა, ეტყვის: „ერთი რად შეგიჭმიაო.“

ჩვენ კარგათ ვიცით ქართველი მოქალაქის ასეთი ეშმაკიბა და აი სწორეთ, ამისთვის, ვიდრე ახალ მოღვაწეობას დავიწყებდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია, დაწვრილებით აღვნეს სამოღვაწეო ასპარეზზე დაცემა მოგველის, ჩვენი სურვილია, ანგარიში ამ ჩაბარებული სიით მოგვეთხოვთ: ერთ სპეციულიანტში ცხრას ნუ მოგვთხოვთ და, ერთის მაგივრათ, რვა თუ ჩაგაბაროთ, ნუ გვისაყვედურებთ: „ეს რა გინიათ, ერთი თქვენ შეგიჭმიაო.“ ასეთი გაუგებრობის წინასწრევ თავიდან ასაკილებლად, სჯობს, ამთავითვე იცოდეს ყველამ, რა სახით ვიბარებთ ჩვენ ამ უამაღ ქვეყანას.

## საერთაშორისო მდგომარეობა.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, ასე ვსრულად, დულილის ხანაშია. ჯერ-ჯერობით ყოვლიც შეუძლებელია გადაჭრით ითქვას: რამდენ ხანს იღულებს, როგორ იღულებს და რა დადუღდება ამ დუღლილის პროცესში. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების უებრო მგოსანს, გირგი გვაზაგას, ერთ პატარა წიგნაკავში, რომელსაც სახელად „ლანდი“ ეწოდება, ასეთი მშვენიერი ტაები აქვს გამოთქმული: „სღულს უბედური ჩემი გონება, სღულს, როგორც ცეცხლზე შედგმული ქვაბი. და ვერც გაუძლებს ამ დუღლილ, ვერა, თავისა ქალა და გულის ძერა!“

ეს მარგალიტი ტაები ზედგამოწრილია დღევანდელ საერთაშორისო ცხოვრებისთვის, უკეთ ქვაბათ ქალაქ პარიზს ჩაქსთვლით, სადაც თავმოყრილი და ცეცხლზე შემოდგმულია კაცობრიობის ბედილბალი.

„და ვერ გაუძლებს იმ დუღლის, ვერა, თავისა ქალა და გულის ძერა!“ აბბობს სისოწარკვეთილი პოეტი. საბედნიეროთ, პოეტის შიში უსაფუძლო გამოდგა, მისმა თავის ქალამ აიტანა გონების საშინელი დუღლილი და დღესაც ისეთივე მტკიცე და უდრევია, როგორც ამ ლექსის დაწერის დროს იყო.

ჩვენა გვგონია, რომ საერთაშორისო ქვაბიც გაუძლებს ამ მშფოთვარე დუღლის და გასკლმას გადარჩება. ყოველ შემახვევაში, თუ წინასღმდეგ მოლოდინისა, საერთაშორისო ქვაბი არ გამოდგება ისე მაგარი, როგორიც გიორგი გვაზაგას თავის ქა-

ლაა, ჩვენ ნუ მოგვთხოვთ ამის პასუხს, ვინაიდგან იმ ქაბას ცეცხლს პატიცემული ქნი ანტანტა უკეთებს და არა ჩვენ.

## საქართველოს რესპუბლიკა.

დღეს დღეობით, ე. ი. ჩვენი მოღვაწეობის განახლების უამს, საქართველოს რესპუბლიკა, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს დამოუკიდებლობა იცნო აღერბეიჯანმა და არგენტინამ.

დღეს „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაც საჯაროთ აღიარებს ცისა და ქვეყნის წინაშე, რომ იკი სცნობს საქართველოს რესპუბლიკის სრულ დამოუკიდებლობას და აღადგენს მასთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას.

ბევრს ჩვენგანს ძლიერ უკვირს, თუ ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, იაპონია და სხვა ასეთი სახელმწიფოები რისთვ ს ვერ გვცნობენ ამდენ ხანს. ჩვენთვის ეს გარემოება ერთობ აშკარა და მარტივია: ილარიონ ჩიბუხაძეს შარშან შეიდასი მანეთი ვასესებენ, გუშინ შეგვხდა ქუჩაში და ვერ გვიცნო.

ასე იდვილი სიქმე როდია ცნობა.

## ჩვენი მეზობლები.

ჩვენმა შუქურა მგოსანმა, სოლომონ ზურგიელიძემ, (საუკუნო ხსენება მის სახელს!) ბრძანა: „გლახა მტერს კარგი მოყვარე გერჩიოსო.“ სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მეზობლების ამორჩევა და ვინც ბედმა გვარგუნა, იმას უნდა შევეგუოთ. ჩვენს მეზობლებში განსაკუთრებულს შურს ჩვენი რედაქციისას იწვევს სომხეთი. ჩვენ საიდუმლო პოლიტიკა არასოდეს არ გვიწარმოებია. ჯერ ლენინი გერმანიის ვაგონში ჩაბლობილიც არ ჰოფილა, როცა ჩვენ საიდუმლო დიპლომატია მოვსპერ და ამიტომაც სომხებიან დასამალავი არაუკრი გვაქვს. რა არის მიზეზი ჩვენსა და სომხეთს შორის ჩამოვარდნილი მტრობის ? ძოგას ნებთ: მიზეზი ერთიც ერთია. სახელდორ, აშკარა მტაცებლობა. დიახ, მტაცებლობა! სოხე სა მოვარაცა ჩვენი დაუფასებელი თემა—ალექსანდრე ივანესძე ხატისოვი. მოვარაცა სწორედ ჩვენ, „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას, ვინაიდგან სხი ისთვის არავისრვის ხატისოვი საჭირო არ იყო. ყოველი ჩვენი მხატვარი ზეპირა ხატავდა ალექსანდრ ივანის და ყოველი მწერალი ოფლდაუღრელათ სწორდა მასზე სტატიას. მართალია, დღევანდელი ჩვენი ქალაქის მოურავიც ფრიად დიდ სამკალს იძლევა და ზოგიერთ დარგებში (მაგალითად თამაღობაში) ხატისოხს სამი ადლითაც წააცილა, მაგრამ სომხეთი აქ რა შეუშია. სომხეთმა ჩვენ წაგვართვა ხატისოვი და განკუბამ თუ სხვა მოგვცა ხამაგიეროთ, ეს სომხეთა სურვილის გარეშე მოხდა.

### დამფუძნებელი კრება.

განუსაზღვრელის სიამოვნებით ვიბარებთ ჩვენ დამფუძნებელ კრებას. გაასკეცებოლ ძალონით ვშიდებით, ყოველი მისი სიტყვა (საქმეზე უკაცრავად ვართ) საზოგადოების ყურამდე მივიყვანოთ. განსაკუთრებით დამფუძნებელი კრების გამო უნდა გავიხსენოთ ქართველი კაცის ეშმაკური ხასიათი, რომლის შესახებაც წერილის დასაწყისში მოგახსენებდით: ჩვენ გვინდა, იკოდეს საზოგადეობამ, როგორ დამფუძნებელ კრებას ვიბარებთ ჩვენ, რომ შემდეგში ანგარიშიც ამისდაგვარი მოგვეთხოვოს.

დამფუძნებელი კრება ორ ბანაკათ არის გაყოფილი: პირველი — სოციალ-დემოკრატები; მეორე — ფედერალისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები, ეროვნულ დემოკრატი და დაშნაკელები. პირველი ბანაკი ერთფეროვანი მაგრამ მრავალრიცხვანია; მეორე კი მცირერიცხვანი, მაგრამ მრავალფროვანია. განსხვავება მათ შორის სხვაც არის: პირველი ბანაკი ყველაფერ ცუდს უწონებს ჩვენს მთავრობას. მეორე ბანაკი ყველაფერ კარგს უწონებს იმავ მთავრობას. დასასრულ ვაფრთხილებთ საზოგადეობას, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ მესამედს წევრებისას სძინავს ხოლმე კრებების დროს და თქვენ რომ გვისაყველუროთ, რატომ მეტს არა სძინავსო ეს უსამართლობა იქნება.

### რესპუბლიკის მთავრობა.

ჩვენ უაღრესი მოკრძალებით ვიბარებთ და ჩვენი მფარველობის ქვეშ ვაყენებთ რესპუბლიკის სოციალისტურ მთავრობას.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას მშვენივრათ ესმის იმ ურთიერთობის მნიშვნელობა, რომელიც არსებობს ჩვენსა და ჩვენი მთავრობის მოღვაწეთა შორის. ძნელია იმისი თქმა, თუ ჩვენ ორში ვინ ვის საარსებო ძალას წარმოადგენს. ჩვენ, ჩვენის შერით, დიდ იმედებს ვამყარებთ რესპუბლიკის მთავრობაზე და დარწმუნებული ვართ, ამ იმედებს არ გაგვიცრუებს. მთავრობის მოქმედება ის ნაყოფიერი ნიადაგია, რომელზედაც ჩვენ უნდა მოვიმკათ მთელი წლის სარჩო და თუ თქვენ ჩვეულებისამგბრ ცხრა წლის სარჩო მოგვოხვეთ, უსამართლობა იქნება, ვინაიდან ამდენს ჩვენი მთავრობა ვერ შესძლებს.

### ანარქია და რეაქცია.

ორივე სიტყვა უცხო ენიდ ნ არის ამოღებული და ჩვენში რუსეთის ზეგავლენით . შემოტანილი. კეთილხმოვანების მხრით ორივე მშვენიერი სიტყვაა. ამ ორი ლამაზი სიტყვის უბედურობა მხოლოდ მათ შინაარსშია დამარხული. ამიტომაც შემახვევითი არ არის, რომ „ბოლშევიკები“, რომელიც გარევნობას მუდამ მეტს ყურადღებას აქცევდენ, ვიდრე შინაარსს,

დღეს ამ ორ სიტყვას ასეთის თავგანწირებით ემსახურებიან. მათ შემოაქვთ ჩვენში ანარქია და რეაქცია რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან. ეს ერთად ერთი საქონელია, რომლის გატანაც შეიძლება ძველი რუსეთის ტერიტორიიდან. რუსეთში იმდენი მზადდება ეს განძი, რომ თავსაყრელათ პყოფნის შინაურ ბაზარს და შესაძლებელია მისი სამი მეოთხედა უცხო ქვეყნებში იქმნას გატანილი. ჩვენის აზრით, რეაქცია და ანარქია ფულუნების საგნათ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხისათვის და მას (ე.ი. ქართველ ხალხს) რომ მეტი დაკვირვება ჰქონდეს ცხოვრებისა, აღვილათ მიხვდებოდა თუ რა ძვირად უჯდებ, ამ საქონლით სარგებლობა. ქართული ანდაზა ტყვილათ კი არ ამბობს: „ფეხი იმდენზე გასჭიმე, საბანი რომ ვეყოს“. ყველაფერი, რასაც უცხოელები (თუ გინდ ქართველები) უცხოეთიდან ჩვენში შემოიტანენ, უკვდავების წყაროთ როდი უნდა ჩაითვალოს. ანარქია და რეაქცია რუსეთში იმდენია, რომ ფეხი სად დაადგან, აღილი არ დარჩენიათ. ამიტომ დენიკინიც და ლენინიც უზომო ფულებს ხარჯავენ ამ რუსული ნაწარმოების ჩვენ ბაზაზე გასმეთვებლად. ქართულ-რუსული „ბოლშევიკები“ და რუსულ-ქართული რეაქციონერები მილიონებს იგებენ ამ ჩვენთვის უვარების საქონელზე. იმ ანგარიშების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთ არის, ყველა, ვისაც ჩვენში რუსეთიდან ანარქია და რეაქცია შემოაქვს, უკვე შეძლებულ კაცად ჩაითვალება, ხოლო რამდენი იზარალი ქართველმა ერმა ამ საქონელზე, ამას ახლო მომავალში გამოვარკვევთ.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია საქარველოს იმ დროს იბარებს, როცა საშობლოს ბაზარი სავაჭრო რჩივე ზემოხსენებული რუსეთის ნაწარმოებით. ჩვენი გამოსვლა თითქმის იმ დროს ხდება, როცა „ბოლშევიკებმა“ უკანასკნელი პარტია შემოიტანეს თავისი ნაწარმოები საქონლისა. მართალია, ქართველმა ხალხმა აღრინდელზე მეტი სიფხიზე გამოიჩინა და ეჭვით მოექცა ამ დამპალ საქონელს, მაგრამ „უცხო ხილობამ“ მაინც მრავალი აიყოლა.

### სიძორუე.

ჩვენი საერთო მიმოხილვა დაუმთავრებლათ ჩაითვლებოდა, თუ ევრეთ წოდებულ სიძორუესაც არ შევხებოდით. სიტყვა „სიძორუე“ თავისითავად თითქმის არაფითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ის საშიშრი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმ საჭირო საგანს აეტოროდიალება. აი, თუნდა მაგალითისათვის ესთქვათ: რას წააგებდა საქართველო რომ ჩვენში ანარქია, რეაქცია, ან სპეციულიცია თუნდა ასჯერ გავირებულიყო? დარწმუნებული ბძანებოდეთ, ბევრს არაფერს. სამაგიეროთ პურისა და შაქრის სიძორუე არც თუ იმდენათ სასარგებლოა. საუბედუროთ ჩვენში გაძვირდა

ყველაფერი ის, რაც ძლიერ საჭიროა და გაიაფდა ყველაფერი, რაც გა აძირებელია. დავასურათოთ ჩვენი სიტყვები მაგალათებით:

გაძვირდა ცხოვრების შენახვა, — გაიაფდა სიცოცხლის მოსპობა.

გაძვირდა რკინის გზით მოგზაურობა, გაიაფდა მატარებლების მტვრევა.

გაძვირდა სათბობი მასალა, — გაიაფდა საწყობების წვა და სხვ.. და სხვ..

ერთის სიტყვით გაძვირდა ის, რაც უნდა გაიაფებულიყო, ხოლო გაიაფდა ის, რაც უნდა გაძვირებულიყო.

სიძვირე-სიიაფის' მხრივ ჩვენ კრიზისის ხანაში ვიბარებთ საქართველოს და ვეცდებით, ჩვენი ურნალი არ მოექცეს იმ არა საჭირო საგანთა სიაში, რომელთა ფასიც დღითი დღე ეცემა.

## რეპგიზიცია.

საიდან დამყვა, ვერ მივმხდარვარ, ეგ ხასიათი . (უკველია, გემოვნება მაქვს იშვიათი!)

კარგი ცხოვრება ისე მიყვარს, ვით მოძღვარს ქიდა: და განა თუ დღეს? ის ოხერი კვლავაც მიყვარდა. ძველად ამ ჩემს ნიჭს, აგრე რიგათ ვერ ვ-მშლავნებდი. (ვფიქრობდი, იმა გამულავნებით თავსა ვავნებდი.) ან კი ვინ იყო ძველად შემწე და გამკითხავი?

დღეს სულ სხვა დროა, მეგობრად მყავს ქალაქის თავი.

ჩემი გულისთვის თუნდა ცეცხლში გადავარდება, და მცირე თხოვნა შემისრულოს არ დამზარდება.

არ ვიცი, იმზომ უეცარი იქნების ვინა, ვერ გაარჩიოს ავისაგან მან კარგი ბინა?

შემთხვევით ვნახე ერთი სახლი გაღმა უბანში, და უსაშეკელო ცქმუტი, ნდომა შემიჯდა ტანში.

გარე ეხვია მას წალკოტი და ტევრი მწვანე, სამოთხეს ჰგვდა, ანგელოზთა იყო სავანე.

იმ სახლში დგომა გულმა მყისვე შეისისლხორცა და როცა ვნახე იქ სხვა იდგა, ფრიად მეოცა.

აღვსძარი ფიცხლავ შეამდგომლობა და ესწერდი, რომა:

მე მაწევს კისრად ქვეყნისათვის უზომო შორმა, რომ რესპუბლიკა ჩემს მხრებზეა დამყარებული, და თუ მე არა, დაიღუპა მთელი მამული.

ამიტომ მეთქი, (ცსწერდი ასე) გააგდეთ მდგმური და მე მომეცით საცხოვრებლათ იგი სადგური.

თუ ეს არ ჰქენით, გადავდგები სამსახურიდან და რესპუბლიკის ბედილბალსაც მოვიხსნი მხრიდან.

გასჭრა მუქარამ, სხვა არ იყო ჯანი და ლონი, გამოითხოვეს სადგომიდან სახლის პატრონი.

გადარჩა ჩვენი რესპუბლიკა დიდ განსაცდელია, მაგრამ მე კვალად დარდს ვეუფლე და სატანჯველა.

ამაზე უფრო შორს სად წავა თავის აგდება?: იუკადრისა იმა ვაუმა გარეთ გაგდება!!!

ვიცი რომ ხალხი საზოგადოთ გამედიდურდა, მაგრამ ვერ მიხვდი ამ ვაჟბატონის მაინც რა სურდა! „არ გამოვალო“ უსირცხვილოდ მემუქრებოდა, მოედებოდა ლობე-ყორეს, სწუხდა, სწყლებოდა.

„ნოეს ვეტყვიო“ — ბოლოს ესეც კი გამიცხადა (უკველია, შეშინება ჩემი ეწადა).

მაგრამ ამ მხრივაც საგულეზე მქონდა მე გული (სააგარაკოთ იყო ნოე გამზადებული)

რა გზები სცადა, რა ხრიკები გამოიყენა,

არა თუ წერით, ზეპირადაც ვერ იტყვის ენა,

და მხოლოდ მიტომ, რომ კანონს ჰყავს კარგი

მცველები,

დააბანინეს იმ ვაჟბატონს სახლზე ხელები.

ამა უზრდელმა, ქედი მაინც არ მოიხარა და უნამუშსოდ ჩემზე ჯავრი ამოიყარა.

გამოაღავა სახლის ავეჯ-სამკაულები,

(თითქო მე ახლის შესაძენათ მეწყოს ფულები)

ტკბილათ მივმართე: — მეგობარო, ამას რას შევბი?

სკამებს მომ მართმევ, იატაკზე დავსხა ბავშვები?

მიგაქეს შეკაფები, მაგიდები, მიგაქვს ტახტები...

მე დასაწოლად ბუხრის თავზე ხომ ვერ ავხტები?

მითხარ, სად არის აქ კანონი და სამართალი??

(ავლელი კიდეც მცირეოდენ, თუ გსურო მართალი)

მან ჩემს ალერსზე ერთი ავად შემომილრინა

და პიანინც თთახიდან გამოაძვრინა.

მოყმის უქმები საქციელი გულზე მელოდა,

მაგრამ იმისგან თურმე მეტი ტანჯვა მელოდა.

მას ცოლი ჰყავდა, მოწყვეტილი ვარსკვლავი ცისა, ყელმოლერილი, ჯეირანი ვით ცივი მთისა, შევხედე იმას და ის ტურფა მყის მომეწონა, ვარდი კოკობი, გაზაფხულის ყვავილთა კონა.

ვოქვი: — დე, წაიღოს მან ავეჯი ჩემი სახლისა,

ხომ ვერ წამართმებს ამ თვალწარმტაც დიასახლისსა!!

რეკვიზიცია მაშ ბოლოების კუდი ყოფილა,

თუ ეს საამო მოლოდინიც გამიბათილა.

მართალი არის, მარტოოდენ თხოვნაც ქმაროდა,

მაგრამ მეგობრებს ეჭვი გულს რომ არ შეკვაროდა,

მე ჩემი ცოლი იმ ზამთრის პირს ვააგარები,

მთებში გავზიზნე, თითქო ვნებდეს აღგილი ვაკე.

უკვე მზად მქონდა ყველაფერი, გაკეთებული,

ჩემი მსახური რომ მოვარდა დაფეთებული.

მითხარ: ბატონო, რა დიდი გაქვს, თურმე, ძალაო, აბა, იჩქარე, სახლი უკვე დაიცალაო.

— რას ამბობ, ბიჭა? სახლი როგორ დაიცლებოდა,

დიასახლისი მისი მაინც ხომ დარჩებოდა?

— აბა ბატონო რასა ბრძანებ შენ გენა(კვალე)?

ცოლს როგორ დასტოას, ეყოს სახლი რომ ააცალე.

რეკვიზიცია მაშ რას ნიშნავს ვერ გამიგია!..

სახლი თუ მოცეს საცხოვრებლათ, როგორც რიგია,

რა უფლება აქვს სახლის პატრონს ნივთის წალების

და ჩემი ბინის გაუდაბურ-გაჩანავების?

მე კი ავეჯზეარ გამწყრალვარ, დავუთმე სრულად,

მით არ ველოდი იმისაგან მოქცევას მტრულად.

ამნ არ დამზოგა. ბინა სრულად გამიპარტახა, და შენი კუუით მე აქ ვიჯდე, დავალო ხახა? სად ჩემი ცოლი და სად იგი ტურფა მნათობი?.. არა, მე ამგვარ სითახეედის არ ვარ დამთობი. ეხლავე დავსწერ ახალ თხოვნას, საღაც სჭირია, ვამცნო თუ ყოფა ჩვენი რაზომ გასაჭირია.

დავჯექ და თხოვნა ჩემს მევობარს, ვავუშანშალე, უსამართლობა მთელი თვალწინ გადავუშალე. ავნუსხე დარდი გულსა მქანდა რაც მონაწოლი, (თუ როგორ უჩუხვად არ დაპიომო მან მისი ცოლი,) და მოვითხოვე: კ ნონს ექმნეს პატივისცემა, რომ აიძულონ წარათმე ი ქალის მოცემა. იმედით სცხოვრობს ამა სოფლად კაცი ყოველი და მეც თხოვნია ასრულებას კვ ლად მოველი. ეშმაკი.

## „პოეტები“

ჩემი გეგმა ბრწყინვალედ შევასრულე, რადგან გარეგნობითაც სომებს ვვავარ და სომხური ენაც ისე ვიცი, როგორც ქართული.

პირველად მხოლოდ ერთ გაზეთში გამოვაცხადებინე ყრუთ:

— როგორც გავაგეთ, ამ მოქლე დროში არარატის რესპუბლიკის დედა ქალაქს ესტურება ცნობილი სომხის მოღვაწე მანუქ ტერ-ხურუშიანცი, რომელიც აქამიმდე პარიზში სცხოვრობდა. ბ. ტერ-ხურუშიანცი განსაკუთრებულის დავალებით გამოუგზავნიათ ეფროპის პოლიტიკის მესვეურებს და ამის გამო მის ჩამოსკლას სომხის მშართველი წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ეს ამბავი მეორე დღესვე დაიბეჭდა ერევნის გაზეთებში.

ერთი კვირის შემდეგ, ჩემივე მეოხებით, თფილისი-სა და ერევნის პრესაში შემდეგი ცნობა გამოქვეყნდა:

— გუშინ კონსტანტინოპოლიდან ბათუმისკენ გამოემგზავრა ცნობილი მანუქ ტერ-ხურუშიანცი, რომელიც ბათუმიდან პირდაპირ ერევანს მიემგზავრება.

ხოლო კიდევ სამი დღის შემდეგ ბათუმის ნაეთსადგურზე მანუქ ხურუშიანცის, ე. ი. ჩემს შესახელიდან შევროვდენ ერევნიდან ჩამოსული მთავრობის წარმომადგენელები და აგრეთვე ადგილობრივი სომხების მეთაურები.

როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო კიდეც და დრო იყო ხურუშიანცის გამოჩენისა, ფრთხილად ავიპარე ახალმომდგარ გემის „Circassie“ — ს ბაქანზე, შეუმნევლად ჩავირბინე რამდენიმე საფეხური პირველი კლასის კაიუტის კიბისა, მოკრიალდი და ისევ ბაქანზე ამოვედი დარბაისლური ნაბჯით და მოთაფლული ღიმალით, როგორც მე, მანუქ ხურუშიანცს, შემფეროდა. ჩემ შესახელიდ მოსულმა „თანამემამულებმა“, რომელიც ის იყო გემზე ამოდიოდნენ, დანახვისთანავე „მიუნეს“ და

„Circassie“-ს ბაქანზე მოხდა გულის ამაჩუყებელი შეხვედრა ახალმამოსული სომხის მოღვაწისა.

პირველი კითხვა, რომელიც ჩემმა „თანამემამულებმა“ მომახალეს გემზევე შემდგომად მისალმებისა, შემდეგი იყო:

— როგორ არის, პარუნ მანუქ, ჩვენი საქმე: ხომ არ დაადასტურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას?

— ჩვენი საქმე ჩინებულად არის: საქართველო ვერ ეღირსება დამოუკიდებლობის დადასტურება! — დავამშვიდე მე ჩემი მოსაუბრევები.

ნავთსადგურიდან პირდაპირ რკინის გზის სადგურზე წავედით და მატარებლით გავემგზავრეთ სომხეთისაკენ. თბილისში შევლა არ მოვისუვე, რადგან ჩემი მიზანი ერევანი იყო და მეორე დღესვე არარატის რესპუბლიკის სატახტო ქალაქში ჩავედით.

იმ ღამის დასვენების შემდეგ ენერგიულად შევუდექი ადგილობრივი მდგომარეობის გაცნობას. ყველაზე უფრო მე სომხების სახელმწიფოებრივი პარატის მოწყობილობა მანინტერესებდა და ვთხოვე, გაეცნო ჩემთვის ყველა სამ ნისტრო და დეპარტამენტები. ახსნა-განმარტებისათვის თვით ალექსანდრ ივანის ხატისოვი მახლდა თან და თითქმის ყოვესავე წვრიმალს თავისებური მჭერმეტყველობით მისსნიდა და ამიწერდა ხოლმე.

— უნდა გულ ახდილათ მოგახსენოთ, პარუნ მანუქ, რომ ჯერ ჯერობით ყველა უწყებები ვერ არის რიგზე აწყობილი და ყველმხრივ და რულებული. მაგიერში ჩენ ჩინებულად გვაქვს გამართული უმთავრესი სამინისტრო. ამ უწყების გამართვით ჩენმა მთავრობამ და პარტიამ ჭეშმარიტე მთელ ქვეყანას დაანახა, თუ რა შემოქმედებისა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ნიჟი ჰქონის ჩვენ ხალხსა და მის მესვეურებს. მე ჯერ არ დაგისახელებთ ამ სამინისტროს. ჯერ ნახეთ და მერე მოგახსენებო მის სახელს. ეს კი იცოდეთ, რომ ამ უწყებაზეა დამოკიდებული ჩვენი ერის მომავალი კეთილდღეობა:

— განათლების სამინისტრო იქნება!

— არა, პარუნ მანუქ! განათლების სამინისტრო, როგორც მახსოვს, ჯერ ჯერობით, სულაც არ უნდა გვქონდეს. მე რომ მოგახსენებთ, ის სულ სხვა უწყებაა და მისი მნიშვნელობა, გაცილებით დიდია, ვიდრე განათლების უწყებისა.

მე ძალიან დამაინტერესა ამ უცნაურმა სამინისტრომ და მაშინვე წავედი მის სანახავათ. გზაში რამდენიმე საზოგადო დაწესებულება შეგვხდა, ერთორ სამინისტროსაც ჩაუარეთ, მაგრამ მათ წინ კაცის ჭავანებაც არ იყო და თითო-სართულიანი პატარა შენობები, სადაც ეს უწყებები იყო მთავარებული, ისე გამოიყენებოლენ, როგორც ობოლი და უჭირისუფლო ბალდები.

ბოლოს მივადექით ერთს მშვენიერ სხალს. ნამდვილ სასახლესა ჰყავდა: წინ ღამაზი ბაღი ჰქონდა გაშენებული და კოხტა მოედანი იყო გაშლილი. მოე-

დაზე ხალხი ირეოდა. ეტყობოდა, რომ ნამდვილი სიცოცხლე და საზოგადებრივი მაჯის ცემა აქ იყო.

— აი, ეს გახლავთ! — მითხრა ჩემმა მხლებელმა, ავტომობილიდებან რომ ჩამოვედით.

— ეს რა ხალხია? ვკითხე მე.

— ეს ჩენი პარტიის წევრები არიან, დაშნაკუაკანები.

შიგ რომ შევვედით, ასე მეგონა, წმინდა ტაძარში ვიმყოფები მეთქი. ისეთი აუმოთებელი სიწყნარე, ისეთი დიალი დუმილი სუფევდა საუცხოვო დარბაზებში, როგორიც მხოლოდ ღრმად მორწმუნეთა სამლოცველოში თუ იქნება ხილმე. საკვირველი ის იყო, რომ დარბაზებში მრავალი მომუშავე ისხდა მაგიდებთან თავიაღმდეგული და შემოქმედების აღმურით აგზნებული და ერთი ბგერა რა არის, ოდნავი ბგერაც კი არსაც ისმოდა. ხალებით მოფენილ იატაზე საოცარი მორიდებითა და სიფრთხილით მიღი-მოდიოდნენ მსახურნი, თითქოს წმინდა ზიარებით სავსე ბარძიმი უჭირავთ ხელში და ეშინიათ, არ დაგველვაროსო. ესენი მიღიოდნენ მომუშავეთა მაგიდებთან, გამოართმევდნენ ფრთხილად რაღაც ქალალდებს და ეს ქალალდები შემდეგ ცველას იქ მიჰქონდა, საღაც ტელეგრაფის აპარატი იყო გამართული.

ამ საოცარმა სურათმა სავსებით შემიპყრო და გამიტაცა. იმავ წუთში დამავიწყდა ყოველივე ამ ქვეყნიური ამიოება და მთელი ჩემი არსება უაღრესმა სულიერმა სიამე აავსო.

— სადა ვართ? — გაუტედავის ჩურჩულით ვკითხე ალ. ხატისონს.

— ჩვენ ვიმყოფებით „საქართველოს განქიქების სამინისტროში.“ — მიპასუხა მან და ამაყად შემომხედა.

— სადაო? გაუმეორე მე კითხვა.

— საქართველოს განქიქების სამინისტროში, პარუნ მანუქ!

— რას აკეთებენ ესენი? — კვლავ ვკითხე მე და მომუშავებზე მივუთითე.

— განაქიქებენ, პარუნ მანუქ, განაქიქებენ! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შრომა და ენერგია დაირჩარჯა ამ უწყების გასამართვად. აქ ჩვენ შევკრიბეთ ჩენი პარტიის საუკეთესო პოეტები და მართალი მოგახსენოთ, მათ სავსებით გაამართლეს იმედი. აბა ერთი დაკვირდით, როგორის სიცარულით ეყიდებიან საქმეს!

მართლაც, „პოეტების“ გაფიორებული სახე, აგზნებული თვალები, რომლებშიაც ღვთიური ცეცხლი ელავდა, აუწერელი სახის მეტყველება, ყოველსავე ნამდვილს ხელოვანს რომ ახასიათებს შემოქმედებს ქამს, — ყველა ეს აშკარად მოწმობდა, რომ ისინი მთელი მათი არსებათ გაეტაცა საყვარელ საქმეს და შემოქმედების ბედნიერებას სრულად განიცდიდნენ.

— აი, ნამდველი პოეტები! — აღტაცებით ჩამურჩულებდა ალ. ხატისონი: მათ არ იციან, რა არის საკუთარი ინტერესები და პირადი ბელნერება... ეს სამინისტრო ასე მუშაობს დღიან-ღამიანა... ჩვენი პარტიისა და მთავრობის ენერგია აქ არის დაგროვილი და რა გასაკვირალია, თუ სხვა, ამასთან შედარებით ყოვლად უმნიშვნელო უწყებები, ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და გამართული.

— არ შეიძლება, პარუნ ალექსანდრე, ამ სასიქადულო მოღვაწეთა შამოქმედების ნიმუში მაჩვენოთ?

— სიამოვნებით! — მიპასუხა მან და გამოართვა ერთ მსახურთაგანს ქალალდი, რომელიც ტელეგრაფის სააპარატოში მიჰქონდა.

— წაიკითხეთ!

ქალალდის ფურცელზე ეწერა:

„გუშინ ქალაქ თბილისში, თავისუფლების მოედანზე, უთვალავ ხალხის თანდასწრებით საქართველოს სამხედრო მინისტრმა ნ. რაშიშვილმა და ენვერ ფაშამ შეასრულეს წმინდა ნამაზი და შემდეგ ყოფილ სამხედრო სობოროში, რომელიც ეხლა სამხედრო მეჩითად არის გადაკეთებული, ფაცი დასდეს საჯაროთ ერის წინაშე, რომ მანამ არ ჩაგებენ მახვილს, სანამ ერთი ცოცხალი სომეხი კიდევ იქნება ქვეყანაზე.“

შემდეგ მოსდევედა ასეთი ცნობა:

„თბილისში და მთელ საქართველოს ტერიტორიაზე სომეხ მცხოვრებთა სახლების ქარებზე, ეს რამდენიმე ღამეა, ჯვრებს ხატავენ. საქართველოს სომხობა შიშის ზარს განიცდის, რაღან მათი დარბევა დაიწყეს კიდეც ქართველებმა: გურიაში და სამეგრელოში არცერთი სომეხი აღარ მოიპოება, ვინაიდგან აქ ჯვრებით დანიშნული სახლების მცხოვრებლები ამოქმედდეს. იგივე დღე მოელის დანარჩენ კუთხების სომხობასაც.“

— როგორ მოგწონთ? ნამდვილი პოეზია არ არის? — მეითხა ჩემმა მხლებელმა: — არა, თქვენ ფანტაზის სიძლიერეს დააკვირდით... ნუ დაივაწყებთ, ბატონო მანუქ, რომ დღე და ღამეში 500-მდე ასეთი ამბავი ითხოვთ და იგზუნება დაუყონებლივ ქვეყნის ცველა ცენტრებში.

— ჩინებულია! სწორედ რომ ნამდვილი პოეტები ყოფილან, — წავილულულე მე და ამ დაშნაკუაკან „პოეტების“ გვერდით უეცრივ თვალწინდების ერთ მაღლიანი პოეტი. მე ნათლად ვხედავდი მის გამხდარსა და ახოვანს ფიგურას, რომელიც ყოველთვის კეთილშობილ დონკიხოტის ფიგურას მოაგონებს ხილმე, მის მუღმივს, გულკეთილ ღიმილს ფერმკრთალ სახეზე, მის თვალებს, სიბრძნისა და სიმშვიდის ნელი სიხულით რომ უბრწყინავს ნიადაგ — და გულში ტკიფილი ვიგრძენი.

— საყვარელი პოეტი! — ვამბობდი მე ჩემ გულში: მე მრწამს, რომ შენისთანა პატიოსანი მო-

ლვაწე კიდევ ბევრი ჰყავს შენს მშობელ ერსა. რა-  
ტომ ერთხელაც არ გაისმა საქვეყნოდ თქვენი კუ-  
თილშობილი ხმა იმ „პოეტების“ შემოქმედების წი-  
ნააღდევება, ამ საარაკო დეპარტამენტში ორმ ეწევიან  
თავიანთ სამარცხებინო მოღაწეობას? აგრე ორი წელიწადი სრულდება, რაც მათი „პირზია“ განუ-  
წყვეტლივ ჰქნავის ჰაერს და რა მაზეზია, რომ  
თქვენ, რომელთაც ასე გულწრფელადა გსურთ მე-  
ზობელ ხალხთა შორის ძმობის გამტკიცება, ერთი  
საპროტესტო სტყვაც კი ირ დაგიძრავთ ამ „კაზმულ  
მწერლობის“ გამო? მეჩრწმუნე, პატივცემულო პო-  
ტო, რომ თქვენი პროტესტი საჭროებლოს რეა-  
ბილიტაციისთვის იმოქანად საჭირო არ იქნებოდა,  
რამოდენადაც თვით თქვენი ერის რეაბილიტაციის-  
თვის, რადგან თქვენი ხმა წმინდა ზარის რეკასავით  
გაისმებოდა ყველგან და როდესაც დაშანაკაპ ნ  
„პოეტების“ თხეზულებათა თვისება გამოაშეარავ-  
დებოდა საქა ყნოთ, ასე იტყოდენ: „მართალია,  
სომხის ზოგიერთი წრეები კი სცდილობდნენ ორ-  
მო გაეთხარათ შეზობელ ერისათვის, მაგრამ ყველა  
სომხები აქ არაფერ შეუში იყვნენო.“ ეხლა კა,  
ეხლა რას იტყვია?

თქვენ რაღმაც ძლიერ გაგიტაციათ, ბატონო  
მანუქ! — გმაშეკვეტინა ჩემი ფიქრები აღ. ხატისოგმა.

— კმარა, წავიტეა აქედან! მე ღლესვე უნდა  
გავიგიზოვრო პარიზისაკენ! — ვუთხარი მე.


— Հաս աիժանդղըլոնեանտ?

— იმაზე უკეთოს, რასაც აქ ვხელავ, ზარწმუნებული ვარ, ველარაცერს ვნახავ ერვენში...

იმავ საღამოს გამოვემდგზავრე და მეორე დილით  
თბილისში ჩამოვედი.

ତାଙ୍ଗୁଣା.

ახალ-დარღვეულ სახელმწიფო თა ცნო-  
ბის საკითხები.



ბართული გვეყო ლოდინი! მოგვხედე!

სამუშაოების პრეზენტაცია.




ძლიერს! აგერა ზეთის ხილის შტოიანი მტრე-  
დი მოფრინავს! გაუმარჯოს საერთაშორისო მშვი-  
ლობიანობას!

## დენიკინი მოსკოვისაკან.



## მშვიდობისანობის ძეგლი.



86

## დ ე პ ე შ ე ბ ი

**თფილისი.** ნოემბრის 29. ფოთიდან იუწყებიან, რომ ნავთსადგურში შემოვიდა 16 ამერიკული გემი კანადის თეთრი ფერილით დატვირთული საქართველოსათვის.

**გორი.** ნოემბრის 29. ფოთიდან მიღებულ ცნობის თანახმად ნავთსადგურში შემოსულა 8 ამერიკული გემი, კანადის თეთრი ფერილით დატვირთული, საქართველოს არსპუბლიკისათვის.

**ზესტაფონი.** ნოემბრის 29. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა კანადის თეთრი ფერილით დატვირთული 4


ეხლა კი აშკარაა, რომ მშვიდობიანობა მკვიდრი ნიადაგზეა დამყარებული.

**ამერიკული გემი.** ფქვილი დანიშნულია საქართველოსათვის.

**სამტრედია.** ნოემბრის 29. ფოთის ნავთსადგურში შემოსულა ორი ამერიკული გემი კანადის თეთრი ფერილით დატვირთული. ფქვილი საქართველოს მთავრობას გადაეცემა.

**ფოთი.** ნოემბრის 29. ეს მეოთე დღეა უცხოეთიდან ნავთსადგურში გემი არ შემოსულა. დღეს ამერიკაში გაემგზავრა თამბაქოთი და მატყლით დატვირთული გემი „ჩერჩეტტი“, რომელიც თებერვლის დამლევს უკანვე დაბრუნდება და ნაცვლად გატანილი საქონლისა მოიტანს კანადის თეთრ ფერილს.

## ფ ი უ მ ე ს ს ა კ ი თ ხ օ



### ს ა ნ ი მ უ შ ი რ ა დ ი ღ - ღ ე პ ე შ ე ბ ი .

ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ც ე ნ ე ბ ი .

**მოსკოვი** ც. ა. კ. ბ. ზ. ჩ. ი. ს. კომუნისტური მოძრაობა ქვაბლასაც მოედო. გლეხვაცობა ერთხმათ მოითხოვს საბჭოთა მთავრობას. გაიფიცენ უველა ქარხნები და ფაბრიკები. ტრამვაის მიმოსიცვლა შესწყდა. მოსალოდნელია ელექტრონზე მომუშავეთა გაფიცვაც. ანტანტის იმპერიალისტები ამაღლ სცდილობებ მოძრაობის ჩაქრობას.

მოხალისეთა არმიის ც ე ნ ე ბ ი .

**თ ა გ ა ნ რ ი ვ ი .** ქალაქ კურდიუკოვიდან ბოლშევიკების გასვლის შემდეგ მოხდა ებრაელთა და-

რბევა. გაძარცულია შველა მაღაზიები და კერძო ბინები. დახოცილთა და დაჭრილ დასახიჩრებულთა რიცხვი დაახლოებით 2000 კაცს არ ადემატება. მესამე დღეს გენერალმა კრიუჩივმა აკრძალა ებრაელთა დარბევა. გენერალი დენიკინის აზრით ებრაელებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და ლიდი უსამართლობაა უდანაშაულო ხალხის სისხლის დაღვრა. ქალაქში უდიდესი სიწყნარე დამყარდა.

გ ე რ მ ა ნ უ ლ ი პ რ ე ს ს ა .

**ნ ა უ ე ნ ი .** გერმანიის ექონომიკური მდგომარეობის საფუძველთა ანტანტის სახელმწიფოთა მიერ

განზრახული ძირის გამოთხრა, დააქვეითებს რა ხალხის კეთილდღეობას, სულიერისა და გონებრივი წინსვლის შესაძლებლობას, საშუალებას მისცემს ციფრ ინგლისს, როცა უკვე მოიშორა მან ეკონომიურ სფეროში თითქმის თვალსაჩინო მეტოქეთა დიდი უმრავლესობა, კიდევ უფრო განავითაროს თავისი მრეწველობა და ამით საბოლოოთ დასცეს ისედაც ხანგრძლივი მისაგან ძირ-ფესვიანად შერჩეული და გამარჯვებულთა მიერ დანგრევის კარებამდე მიყვანილი გერმანიის შინა მრეწველობისა და ეკონომიური კეთილდღეობის აღრიძინების შესაძლებლობა.

### ურანგული პრესსა.

**ლიონი.** დღეს პარიზიდან გაფრინდა სახელმწინო მფრინავი ელვორი, რომელიც ქალაქ რეიმსში მიიტანს კლემანის წერილს და დაბრუნდება უკან. ამით მიღწეულია ახალი რეკორდი სისტრატისა.

უმაღლესმა საბჭომ თათბირი იქნია და რუმინის ნოტა წარუდგინა ბუდა... (დამახინჯებულია).

### იტალიური ცენტრი.

ქალაქ ლოზანში იტალიის გენერალს, ჩიორელს ნადიმი გაუმართეს. წარმოითქვა მრავალი სიტყვა იტალიის ჯარის მხერისა და სიმამაცეზე.

რუმინიაში მივიდა იტალიის მისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ოდილობრივ ბაზრის სიფართე. მისიას ნადიმი გაუმართეს, რომლის დროს მინისტრმა პეტრესკუმ განაცხადა: იტალიას მშრი კავშირი უნდა ჰქონდეს რუმინიასთან, როგორც რუმინიას იტალიასთან.

მილანიდან გაფრინდა იტალიელი მფრინავი პანჩული.

## ქრონიკა

**რეპიზიცია.** „ეშმაკის მათრახის“ რედაქციამ გადასწყვიტა მოახდინოს რეკვიზიცია შემდეგი შენობებისა:

ხასახლის—ეურნალის რედაქციისათვის, ხახლმწიფო თეატრის—კანტორისათვ ს, ყოფილ კადეტთა კორპუსის—სტამბისათვის, ზუგალაშეკლის სახლის (სადაც მოთავსებულია მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ეორდანის, ბინა და საგარეო საქმეთა სამინისტრო) — თავუნას საცხოვრებლად, ფრიდონოვის სახლის, (სადაც ამ უამად შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშეილი სცხოვრობს) — ეშაკის ბინისათვის. დაინტერესებულ პირთ ნება ეძლევათ თავისთვის ბინა ექცევთ.

**ჩამობრძანება.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ თფილისში ინკოგნიტო ჩერი მატა-

ბლით ჩამობრძანებას აპირობს გურიის ბოლშევიკუმუნისტთა პარტიის ბელადი ცნობილი ანტიბრიტანისტი პაიჭაძე. სატატო ქალაქის სისხლის-სამართლისა და სამოქალაქო მილიცია დიდ ფაციუუციშია ძეირფასი სტუმრის მისაღებათ.

**უაჩალთა ბრძოლა შევარდა.** გუშინწინ ქართულ კლუბის შენობაში მილიციონერთა რაზმა უბნის კომისარის მეთაურობით შეიძყრო ცნობილი ბრძოლი ხელმძღვანელი შაქრო ბერიშვილი და მთელი მისი ბრძოლი. შეპყრობილი ყაჩალები გაძლიერებული რაზმის თანხლებით მეტების ციხეში წაასხეს.

ეს ცნობა დაბეჭდილი იყო კიდეც, როდე ავგანიორვა, რომ ბ. შაქრო ბერიშვილი და მისი „ბრძოლურმე დრამატული სტუდიის ყოვლად უწყინარი მსახიობები ყოფილი და უბრალო გაუგებობას მსხვერპლი გამხდარან. ამ სამწუხრო შეცდომის მიზეზი ყოფილი სათეატრო აფიშა, რომლის ბოლო ი რეისონისა და მის თან შემწევთან ერთად გამოცხად ბული კი: „ბრძოლი ხელმძღვანელი შაქრო ბერიშვილი.“ იმედია ასეთი აღმაშფოთელი „შეცდომა“ კელავ აღარ გამეორდება და ამიტობიდან ჩვ ნი მილიცია უფრო დაკვირვებით მოეცყრობა თავის საქმეს.

შეპყრობილები დაუყონებლივ გაუნთავისუფლებიათ.

## როგორ გავხდი სცეკულიანობი\*

ეს მოხდა გასულ ზაფხულის ივლისისის. დამდეგს.

თფილისში მზემ ისე დაუცხუნა, რომ ქალაქი ვეგებრთელა გაუზრებულ ტაფას დაემსგავსა. ამ ტაფაში იხრავებოდენ საბრალო თფილისელები, ასე რომ ქუჩებში შიშინიც კი მოისმოდა.

სამსახურიდან რომ დაბრუნდი, კარი ჩემმა ცოლმა გამილო, სუნ-ალებულ მექებარსავით გაჩერდა, ჰავრი დაჲკუნისა და გაანხლებით მომახალა:

— შენ კიდევ არ მოიშალე რესტორანებში. სიარული, შე უნამუსოვ?

— ქალო, რის რესტორანები, ხომ არ გაგიყდი?, დლივს დავიკნავლე მე სისუსტისაგან.

— მაშ რა არის ეს მწვადის სუნი რომ შემოგყა აქა?

მე თავი დავლუნე და კისერზე ვანიშნე.

— უყნოსე!-უკთხარი მე.

ჩემმა ცოლმა შეჲკივლა.

— რამ დაგწვა? მომახახა მან.

— მზემ, ვუპასუხე მე და უცებ შევნიშნე, რომ ზემო სართულიდან ჭერში წყალი ჩამოდიოდა ჩანჩერივით.

— ეს რა ამბავია?—დავიკირე ახლა მე.

— ეს ზევითა მდგმურების ოფლია—მიპასუხა ცოლმა: ყველა სართულებში ეგრეა!

\* ) თქმული ბორჯომის პარკში, ზ აგვისტოს „საღამოზე“.

მხოლოდ ახლა დავინახე, რომ ყველა ოთახში იატაკზე ოფლის მორევი იდგა და ჩემი ხუთივე შვილი შეგ ცურავდა.

— მაშინ გადავწყვიტეთ თბილისიდან გაქცევა.

— ფული სად ვიშოვოთ? ჩაწყვეტილი ხმით მკითხა ცოლმა.

— გააღეთ ტანისამოსის შეაფები!-გბრძანე მე. გააღეს.

— დაუძახეთ მედველეს!

დაუძახეს.

— ჩვენ შვიდნი ვართ - დავიწყე მე: გვაქვს შვიდი საზამთრო პალტო, შვიდი ხელი საზამთრო ტანისამოსი, შვიდი ქუდი, შვიდი წყვილი კალოში და ორი ხალიჩა. განა სიგიჯე არ არის ამ ყოვლად უვარგის ნითვების აქ დატოვება ამ პაპანაქება სიცხეში? სიცივეს მოვესწრომოდეთ, თორებ, თბილებს ჩავიცამო კიდევ?.. გავყოდით!

— ვაშა! დაიყვირა ერთხმად ჩემმა ჯალაბობამ.

ზემორე ჩამოვლილ ნითვებში 8 ათასი მანათი ავიღეთ და ბარგიც შევკარით წამოსასვლელათ.

— როგორ მიიტანო ამ ორ მაფრაშის საღვურზე? — ვკითხე მუშებს.

— ორივეს ას თუმანათ, ბატონო!

ჩემ ცოლს გული შეუწებდა. მე კი სლოკინი დამაწყებინა ამ პაპანაქება სიცხეში.

კაპეიკი არ დაუკლეს. იძულებული გავხდით ასი თუმანი მიგვეცა.

— როგორ წაგვიყვანო სადგურამდე? — ვკითხე ორ მეეტლეს (ორი ეტლი უნდა გვექირავებინა, რადგან ჩვენ შვიდნი ვიყავით და თან წვრილი ბარგიც ბლომათ გვქონდა).

— ას თუმანათ, — ვკიპასუხეს მათ.

ჩემი ცოლი მყისვე გონს მოვიდა, მე კი უცებ სლოკინი შემიჩრდა.

არ დაგვითო. მივეცით ასი თუმანი.

სადგურზე რომ მივედით, ბარგის ჩაბარება და ბილეთის ყიდვა იყო საჭირო.

— თუ კაცი ხარ, მიიტანე ეს ორი მაფრაში საბარეო განყოფილებაში, ვუთხარი ბარგის გადამტანს.

— 500 მანათი ეღირება, ბატონო!

ბილეთის კასასთან იმ სივრძე კუდი იდგა, რომ მიღწევა მატარებლის წასვლამდე ყოვლად შეუძლებელი იყო.

— ხომ ვერ ამიღებთ ბილეთს? დარცხვენით შევეკითხე ერთ მებარეეს.

— მე ვერა, ბატონო, აკრძალული მაქვს, და თუ გნებავთ, გასწავლით კაცს, რომელსაც შეუძლია აღება.

— მაშ, მიშველე, გეთაყვა!

— მიბოძეთ 20 თუმანი და გაჩვენებთ.

რა გაეწყობოდა, მივეცი...

— ამიღეთ, ღვთის გულისათვის, 4 დიდისა და 3 საბაეში ბილეთი, — შევევედრე იმ კაცს, რომელთანაც მებარეებ 20 თუმანა მიმასწავლა.

— თითო ბილეთის აღება 5 თუმანი ეღირება, ბატონო!

ბილეთების ფასიც რომ გადავიხადე, 4500 — ღადამრჩა.

ვაგონთან რომ მივედით, კონდუქტორმა ბილეთები გამომართვა, დაკვირვებით დახედა და ზიზღით შემომაშტერდა სათვალის ქვეშიდან:

— იმე, რავა გეკადრება, ბატონო? — დამიწყო ყვირილი კონდუქტორმა: წვევე განათლებულ კაცს არ გავდე და ორი ციფრი კი ვერ ამოგიკითხავი! შე დალოცვილო, ვერ ხედავ, შენ ბილეთებს რომ დევიტსოტ დევინსტო პიატი ნომერი აწერია? დევიტსოტ დევინსტო პიატი მერე ეს ვაგონი? აპა, გააჭირე თვალი და წეიკითხე! მიბრძანდით, ბატონო, თქვენ ვაგონში!

ზემორე ზარი მიცემული იყო კიდეც. სხვა ვაგონში წასვლა, თუნდაც ძებნაც არ დაგჭირებოდა, დარჩენას უდრიდა.

— ღვთის გულისათვის, გაგვიშვით ამ ვაგონში. ხომ ჰედავთ, ახლავე მესამეს დაჭკრავენ, დავრჩებით! — შევეხვეწე მე.

— მეიცათ ათი თუმანი და მობრძანდით.

მივეცი, როგორც იყო მოვათავსე ჩენენები, მაგრამ მე კი ველარ შევედი შიგ, ადგილი აღარ იყო და იძულებული გავხდი გვერდით ვაგონში შევმძრალიყავი რის ვაი ვაგლახით.

გორის სადგურამდე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა და ჩენენების ნახვა. გორში რომ ჩამოვედი, ისე ვიყავი ქანც-მილებული და დათენთილი, რომ გასამაგრებლათ ერთი რიუმეა არაყი და ორი ჭიჭალინო გადავკარი და მხოლოდ შემდეგ ვინახულე ჩენენები.

— მამა მოვიდა, მამა! დაიყვირა ჩემმა 6 წლის გოგომ და ყელზე მომეხვია, მაგრამ უცებ ხელი გამიშვა და შემომხედა.

— მამი, შენ მოვრალი ხარ?

— რას რომავ, შე საბაგელო? ჩუმათ იყავი! მოვრალი საიდან ვიქნები?

— მაშ ღვინის სუნი რადა გაქვა?

— ჩუმათ, შე საზიზლარო: დედამ არ გაიგონოს!

— მომეცი ათი თუმანი, თორებ დედას ვეტყვი ეხლავე!

რა გაეწყობოდა, მივეცი...

ბორჯომში რომ ჩამოვედი და აგარაკის ბე გადავიხადე, 150 თუმანი-ღა დამრჩა.

ოცდახუთი თუმანი მეორე დილით ცოლს მივეცი სანოვაგისთვის.

— ბაბალე, ხომ იცი, თირკმელები მტკივა და ექიმმა საქონლის ხორცი ამიკრძალა. გენაცვალე, ჩემთვის ერთი კარგი წიწილა იყიდე და შე-

ნებურად შეაწვევინე შაქურზე,—ვთხოვე ცოლს.  
— მე დღეს წიწილას არ ვყიდულობ, მომიჭ-  
რა ცოლმა მოულოდნელად.

— რა ამბავია?—გავიკვირვე მე.  
— მოიტა ასი თუმანი და გიყიდი.  
რა გაეწყობოდა, —მივეცი.  
დავრჩი უკაპეიკოდ.

იმისთანა თქვენს მტერს, მე დღე დამადგებო-  
და, რომ ჩემდა ბედად კოტე ფოცხვერაშვილს,  
რომელიც ამ ზაფხულში ბორჯომის ორკესტრის  
გამგედ იყო მოწვეული, „სალამოს“ გამართვა არ  
განეზრახა. ამ „სალამოში“ მონაწილეობა მეც  
მთხოვა და სასყიდლად 100 თუმანს შემპირდა.

„სალამოზე“ რომ გამოცხადდი, ვიდრე ჩემი  
რიგი მოვიდოდა, ხალხში დავიწყე აქეთ-იქით სია-  
რული, რომ ყველა ნაცნობს დავნახვებოდი.

— კოტე!—ვუთხარი ფოცხვერაშვილს ჩემი

გამოსვლის წინ: გინდა მონაწილეობა მივიღო შენს  
„სალამოში“?

— აյი მონაწილეობ კიდეც, კაცო, რა ვქნა!

— აქ რომ მოვსულვარ, ქს კიდევ იმას არ  
ნიშნავს რომ სცენაზე გამოვალ. მოიტა 500 თუ-  
მანი, თორებ აქედან ფეხსაც არ დავძრავ! იცოდე,  
ყველამ გაიგო, რომ აქა ვარ და თუ არ გამოვედი,  
ალიაქოთ ატყდება. მოიტა 500 თუმანი!

კოტე ფოცხვერაშვილი ამის გაგონებაზე ერთი  
გაიმართა მთელ თავისი სიგრძით და უეცრად სამი  
არშინით დაპატარავდა.

რაღა გაეწყობოდა: კრინტიც არ დაუძრავს,  
ისე დამითვალი 500 თუმანი.

ახლა თქვენ თითონ გასაჯეთ:

— განა ჩემი ბრალია, რომ სპეცულიანტი  
თაგუნა.

გავხდი?

## ს ა ღ ა მ ი ს.

(მ ჭ მ ა კ ს)

### I

ვინ გრძნებით ეშმაკეულით შოთას წაულის ხელობა,  
საქმეთა მისთა ვითამცა ვინა ქმნას გამნახველობა;  
მან გლახ დაგვცარნა, ვერ ვაგოთ, რაზომცა გვპირდეს ხელობა,  
სჯობს აწლა ჭირთა დათმენა თუ მზისა უნახველობა!?

წყალთა შევვლალნა უცილოდ, ჰყო საქმე მეთვეზულობით;  
მართ ზურგიელსა გვამგებავსნა, ტაბაკზე მოხაზულობით...  
კვლავ მით ქცევითა ქართულით, არა ზმნა ხვარამზულობით,  
ორივ ერთია, დაგვჯაბნა, ლვოთითა თუ ველზეულობით.

აწ გვმართებს კრძალვად ამისად ვსჯდეთ სულთქმა გახშირებულნი;  
გრძელთა პატიჟთა მოვანედ ეკალთა ბალში რებულნი;  
ფიქრთა ნაფიქრი, ნალველფი, ნანაცრი ნახშირებულნი:  
ვით თვეზნი წყალთა დუმილში—ქართველ მგოსანთა კრებულნი!

კვლავ სევდა უკუ გვაოტებს, წინ გზა დის თუნდა უგზესი!!.  
გვწვავს იღუმალი ნალველი სახმილი მუნ დაუგზესი;  
მწუხრობს ყოველი გარემო, დამე თუ დილა შუქ ზესი,  
გვმსჭვალავს ისრები ანაზდი შენთაცა კბილთა უგძესი!!.

ბევრმა ინატროს არიფმა ეშმაკის მონახვერობა  
მას აპოლონი პატიჟობს, სთხოვა პარნასის წევრობა!  
საქმე ყოველი ფუჭია, სჭირდეს თუ გაუდევრობა,—  
რა სინანული გულს ახლავს, რას არგებს სიტყვა ბევრობა?..

აქ მინდა გითხრა სალამი გრძნობითა გონივრულითა,  
არ ზურგიელათ მიიღო, ძმრთა მით მონივრულითა.  
ბედი მგოსანთა განქარვდეს გრძნობითა მიწურულითა,  
აწლა ბუუტავდეს მთვარეზე შუქითა ფუტურულითა!..

3. ტუქსიშვილი.

# პატარა ფელეტონი.

მასპორი და იმპორტი.

ვინ არ იცის, თუ რა საბედისწერო საკითხს წარმოადგენს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის საგარეო ვაჭრობის საკითხი. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ ჩვენი ვალიუტის შექმნა შეიძლება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებით.

მოგეხსენებათ, ყველა თავისუფალ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს რამე სარსებო წყარო, რა თქმა უნდა, არა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ წყარო შემოსავლისა რესპუბლიკის ხარჯთა დასაფარავად. ეს გახლავთ საერთო სიმღიდოები, რომლის გარეშე ბაზარზე გატანით რესპუბლიკა მიიღებს განსაზღრულ საარსებო საშვალებებს. საექსპორტო საგანთა აღმოჩენა, აი უმთავრესი საზრუნავი და თავსატეხი საკითხი რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრისა.

რა გავიტანოთ საზღვარ გარეთ ბაზარზე, რომ ნაცვლად იმისა იქიდან შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო საგნები? ყოველი პატიოსანი და სამშობლოს მოყვარული ქართველი ვალდებულია იფიქროს ამ საკითხზე და შეძლებისგვარი დახმარება აღმოჩინოს მას, ვისაც ისტორიაშ დააკისრა ეგ მძიმე ტეირთი.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საექსპორტო საგანთა გამონახვის დროს ჩვენ სახეში ვიქონიოთ ჩვენი, აღგილობრივი მოთხოვნილებაც და გავიტანოთ ის, რის გატანაც კრიზის არ გამოიწვევს შინაგან ბაზარზე.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მე თავვამოდებით ვფიქრობ ამ საგანზე და უნდა მოგახსენოთ ჩემს ურომას უნაყოფო არ ჩაუვლია. შეიძლება მარტო ჩემ მიერ აღმოჩენილ წყაროებზე ვერ დაემყაროს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მაგრამ იმედი მაქს საქმაოდ მაინც გამოაცოცხლებს იგი ჩვენს საგარეო ვაჭრობას.

გთხოვთ მომისმინოთ:

იშვიათია დედა-მიწის ზურგზე ისეთი მხარე, რომელ-ც საქართველოსაც მდიდარი იყოს თავად-აზნაურობით. მართალია ჩვენმა მთავრობამ თითქოს გააუქმა აღნიშნული წოდება, მაგრამ ცხოვრებაში, ანუ უკეთ ვსოფელ პრაქტიკაში, კვლავ არსებობს და ვერც ერთ სამინისტროს ვერ ნახავ, რომ შიგ „ენიაზობას“ არ განაგრძობდენ. გარდა ქიზიყისა ეს წოდება ყველაზე თითქმის სამოც პროცენტს შეადგენს საერთო მცხოვრებლებისას, ხოლო სამეგრელოში (ბ-ნ აშორლიას მეოქებით) ვგონებ თოხმოც და ათ პროცენტსაც აღემატება. სწორეთ ამ სიჭარებები დასცა ჩვენს ქვეყანაში მათი ღირებულება და ჩვენს საგარეო ვაჭრობას თამამათ შეუძლია მათი საგარეო ბაზარზე გატანა, მით

უმეტეს, რომ ეს გარემოება, რამდენათაც მე ვიცი, ჩვენს ხალხში დიდ უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

აგრეთვე დანაშავრილებით ვიცით, რომ ოსმალეთს თითქმის არ გააჩნია თავად-აზნაურობა და ჩვენს საქონელს დიდის სიამოვნებით მიღებს. განსაზღვრული მიღრეკილება ამ წოდებისა „ფაშობისადმი“ თავდებია ამისი. სამაგიეროთ ოტომანის იმპერია მოგვცემს ჩვენ შევ ყავას, ფორთოხალსა და ლელვის ჩირს.

ბულგარია, სადაც თავად-აზნაური წამლადაც არ მოიპოვება, დიდის ხალისით მიღებს ჩვენს ექსპონატს\*) და სამაგიეროთ ჩვენს შინაგან ბაზარს უზრუნველ ყოფს ხახვითა და წიწაკით.

სამწუხაროთ აქსტრიასა და გერმანიას, მართალია ჩვენოდენი არა, მაგრამ თითქმის საქმაოდ მოეპოვებოვება ეს საგანძური და ვეჭვობ, დღევანდელ პაროვებში იქაურ ბაზარზე ამ საქონლით ჩვენ თავი ვისახელოთ.

მეორე დარგი საექსპორტო ღირებულებისა გახლავთ ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა. უმთავრესათ ეგ შეეხება ჩვენს ლექსებს. ვინ არ იცის, თუ რამდენი ზედმეტი პოეტური ნაწარმოების გატანა შეიძლება ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან. ამ წინაზე, ერთა ცნობილმა მგოსანმა, კერძო საუბარში განმიცხადა, რომ მას უკვე მზათა აქვს „ორი ურემი“ ლექსები და ცხადია თუ ბაზარი აღმოჩინდება არა ერთსა და ორ ურემს კიდევ სხვას დამზადებს. რასაკირველია, ეგ ჩემი მეგობარი მარტო არ არის იმისი ცალი ჩვენ არა ასი და ათასი სხვა მოგვეპოება.

ჩვენებურ ლექსთა სიმრავლე, და უმეტეს კი მათი ღირსია, მე სითამამეს მაძლევს განვაცხადო, რომ ამ საქონლით ჩვენ პირდაპირ წავლეავთ მთელი ცენტრალური ევროპის ბაზ რს. ვერცერთი ქვეყანა ამ დარგში ჩვენ კონკურენციას ვერ გაგვიწევს და თუ მაინც შეეცდება ჩვენთან ზებრძოლებას, უეპველია დამარცხდება. მე იმის განხილვაში არ შევდივარ, თუ რა შევიძლია შემოვიტანოთ ამით არ სანოვაგის სანაცვლოდ ევროპის ბაზრიდან, ვინაიდან ყველა თქვენგანმა კარგათ იცის რაოდენ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის დღეს დღეობით მაჟარონი და ვერმიშელი, რომელიც სრულიადაც არ გაიაფებულა მიუხედავთ დამფუძნენელი კრების მუშაობისა. საზოგადოთ კი შემოსატან საგნებზე უფრო აფეილია მსჯელობა და რისკისაც საქმარისია დარსდეს ერთი შერეული კომისია.

(შემდეგი იქნება)

მორიელი.

\*) მართალია ძველათ ამ მხარემ უარი სოჭვა თავად დადიანზე, მაგრამ ეხლა დროება გამოიცვალა.

# АЗЕРБЕЙДЖАНЪ.

**Оскару Ивановичу Шмерлингъ.**

ДОРОГОЙ

ОСКАРЪ ИВАНОВИЧЪ!

Какъ вы сie усмотрите изъ текста настоящаго номора, журналъ нашъ передъ лицомъ всего мiра объявляетъ себя независимымъ и самостоятельнымъ органомъ.

Министрамъ иностранныхъ дѣлъ всѣхъ державъ міра нами разослана слѣдующая телеграмма:

„Совѣтъ Двухъ „Эшмакисъ Матрахи“ объявилъ 30 ноября учрежденіе независимаго юмористическаго органа. Ставя васъ въ извѣстность о вышеизложенномъ, мы имѣемъ честь просить Ваше Превосходительство сообщить объ этомъ Вашему правительству.

Члены Совета Двухъ { Эшмаки  
Тагуна.

Въ постоянныхъ заботахъ о преуспѣяніи нашего органа, мы, разумѣется, не могли забыть тѣхъ неоцѣнимыхъ заслугъ Вашихъ передъ дорогимъ нашимъ сердцамъ журналомъ, кои на вѣки запечатлѣны на страницахъ его во славу Вашу и въ назиданіе читателямъ нашимъ.

Помятуя сіе, милостиво повелѣваемъ Вамъ, дорогой  
Оскаръ Ивановичъ, быть полномочнымъ Посломъ не-  
зависимаго органа нашего при Правительствѣ друже-  
ственной намъ Азербайжанской Республики.

Жалуя Вамъ настоящую грамоту, пребываемъ въ твердомъ упованіи на то, что столь испытанное нездреманное око Ваше не ослабнетъ въ неукоснительномъ бдѣніи за порядкомъ и благоустроеніемъ вѣренной просвѣщенному попеченію Вашему странѣ и съ подобающею Вамъ добросовѣстностью будетъ блести интересы журнала нашего.

Уповаемъ также, что дружественное намъ Прави-  
тельство республики Азербайджанской настоящую гра-  
моту нашу не сочтетъ актомъ вмѣшательства нашего  
во внутреннія дѣла свои, и крѣпкія узы, связующія  
насъ съ дорогою намъ сосѣднею республикою и впредь  
останутся столь-же нерушимыми.

Повелѣвая о вышеизложенномъ, молимъ Всевыш-  
няго о ниспосланиѣ Вамъ силь и мудрости въ преодо-  
лѣніи трудовъ на благо органа нашего и пребываемъ  
неизмѣнно благосклонные

и любящіе Васъ Эшмаки

Тагуна

Дана въ г. Тифлисѣ, лѣта 1919, ноября 30.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია.

ବିଜ୍ଞାନ

სამუსლომანო ბრიტანეთის, ანუ საბრიტანეთო  
საქართველოს მთავარ ქალაქის ბათუმის გენე-  
რალ თანამშრომელს

გლობალიზაცია. \*)

თქვენო აღმატებულებავ! „ეშვაკის მათრახის“  
დემოკრატულ მთავრობას ღიღი ხანია მწარედ აფი-  
ქრებს ის სამარისებური დუმილი, რომელსაც მოუ-  
ცავს მთელი ჯოჯოხეთის დემოკრატია. თქვენს  
აღმატებულებას კარგად მოეხსენება თუ როგორ  
გაათავამა ამ გარემოებაშ ჩვენი საერთო, შინაური  
და გარეშე მტრები, როგორ აამხედრა ჩვენს წი-  
ნაამდევ ჩვეულებრივ ღროს ინდივერუნტული და  
ნეინტრალური მასა, ამასთანავე მშვენივრად მოეხ-  
სენება ისიც, თუ რა შედეგი შეიძლება მოპყევს ამ  
დუმილს და რა საბედისწერო კატასტროფის წინაშე  
შეიძლება დაყყნოს მან ჩვენი დამოუკიდებელი  
არსებობა.

საკიროა, ბოლო მოელოს ამ მომაკვდინებელ  
დუშილს! ღროა შეიგნოს, ყველა ჩვენგანმა, რომ  
ჯოჯოხეთის დემოკრატიის საარსებო ინტერესები  
დაუინებით მოითხოვს შეერთებულის ძალით და  
ერთის გარკვეული გზით მოქმედების გაჩაღებას.  
საკუთარ ძალთა დაქსაჭივა და ხელსაყრელ ისტო-  
რიულ მომენტის გაშვება და უკველად გამოიწ-  
ვევს ჩვენს საშინაო საქმეებში უცხო გლომენტების  
ჩამორჩევას, როთაც სავსებით ისარგებლებენ ჩვენი  
მტრები, რომ არა თუ სახელი, არამედ თავიც გა-  
გვიტეხონ საზაფო კონფერენციის წინაშე. ზემორე  
აღნიშნულ მიზნის მისაღწევად, ე. ი. ჩვენი შეერ-  
თებული მოქმედების გასაახლობლათ „ეშმაკის მათ-  
რახის“ დემოკრატიულმა მთავრობამ განიზრახა სრუ-  
ლიად საეშმაკო რეპულიკის კონფერენციის მოწ-  
ვევა. კონფერენციის დღეთ დანიშნულია ნოემბერ  
რის 30. გაცნობებთ რა ამას, მოგიწოდებით დაესწროთ  
აღნიშნულ მოლაპარაკებას, ხოლო, უკეთუ პირა-  
დათ ოქვენი დასწრება მოუხერხებელი იქნება, წარ-  
მოადგინოთ სრული დასაბუთებული მოხსენება  
თქვენდამო რწმუნებულ რაიონის შესახებ.  
„ეშმაკის მათრახის“ გარეშე საქმეთა მინისტრის  
ამხანავი მორიგლო.

\*) ასეთი ფოთის „საბჭოთა ნაბადის“ ქომი! არს ბუტუნას, ჭიათურის მთავარ რწმუნებულ გვეგიას, ხაშურის რკინის გზათა მოძრაობის უფროს ფრთ-ტელის და სხვათა მჩაგალორ ა



# დემოკრატიული სკოლა.



პატარა მოწაფეები. შეიძი საათი—სკოლაში, 4 საათი—გაქვეთილების მზადება, ორი საათი—მუსიკა და ტანცარჯიშობა. სულ—13 საათი! გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!